წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათი 24 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ოფილის ქ. ს. მიქელაძის სახლში.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების ღებულება... 2 საათ. 5 მ. 2 საათის შემდეგ ...

№ 35 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 35

გულ დამწვარი ძმები: ონისიმე, გიორგი და კონსტანტინე თომას ძენი, რძლები: —თამარა, თეკლე და ელისაბედი, ძმისწულები: დომინიკა, ილია, ვლადიმერი, ანდრია ანტონი თამარი ქორქიკა და კაკო ტყეშელაშვილები, დისწულები: აგრაფინა, კალისტრატე, კოტე, ალიოშა და სერგო მორჩაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი ძმის და ბიძის

დავით (დათიკო) თომას ძე ტყეშელაშვილისას

გამოსვენება ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში დანიშნულია 25 ამ თვეს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, (საკ. სახ. ჭავჭავაძის ქუჩა) დაკრძალვა მოხდება მაღლაკში 28 მაისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, მაცხოვრის ეკლესიაზე. ცალკე წერილები არ დარიგდება.

სოფიო ონისიმეს ასული და ალექსანდრე პლატონის ძე გრიგოლაშვილები, ანა ონისიმეს ასული და გიორგი დავითისძე კილაძეები, ნინა ბესარიონის ასული და აკაკი დავითის ძე მარგიანები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი ბიძის

დავით (დათიკო) თომასძე ტყეშელაშვილის

უეცრათ გარდაცვალებას. 3—1

ხუთშაბათს 25 ამა მაისს ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქნება წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის

ელისაბედ მიხეილის ასულის გრიგოლიას

სულის მოსახსენებლათ,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულსა ნიკოლოზ ალექსის ძე გრიგოლია და ძმა ვასილ მიხეილის ძე კლდიაშვილი წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.

სატასტო ქალაქის ცირკი მმ. ეფიმოვეპისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოთხშაბათს 24 მაისს 1917 წ.



გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენები, გასტროლები ბელგეთის ტრუპისა

5 პ ლ ი პ ე ტ ი

გასტროლი ახალგაზდა ჟონგლერის ჟენიასი. პატარა გიმნასტიორი ქალისა ლუსიასი და სხვა. პირველი გასტროლი უნერვო კაცისა კრენსუის. ოთხი დღით

საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული

ჭ ი დ ა ო ბ ა.

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი: 1 წყვილი იტალეთის ჩემპიონი ქალი ბელანი წინააღმდეგ ბელგეთის ჩემპიონისა ქალის დემატელისა, 2 წყვილი ლონე ხერხის წინააღმდეგ ვინ ვის? ქალი რომანოვისა ჩემპიონი მთელი ქვეყნისა წინააღმდეგ შვეციის ჩემპიონისა ქალის აზელკტოკისა. 3 წყვილი ლიტკის ჩემპიონი ქალი წინააღმდეგ თურქესტანის ჩემპიონ ქალისა სულეიმანისა. დასაწყისი წარმოდგენისა საღამოის 8 ნახევარ საათზე. დასაწყისი ჭიდაობისა 10 საათზე.

ქუთაისის საზოგადო საკრებულო

საზაფხულო და საზამთრო ბინის ბუფეტი იჯარით იცემა,

მსურველთ პირობების გაცნობა და მოლაპარაკება ყოველ დღე შეუძლიათ საკრებულოს კანტორაში საღამოს 8-დან 10 საათამდი.

მამასახლისთა საბჭო.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 22 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

შავი ყორნები.

კინო დრამა 5 ნაწილ. ძველი რეჟიმის დროს მწერალი ვ. პროტოპოპოვის აკრძალულ პიესის მიხედვით. ამ სურათში გამოყვანილია შავი ბრბო, რომელიც სარწმუნოების სახელით ურცხვად ატყუებს ხალხს.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან

უგონოების დალი

(ძლიერნი და ხალხის მჩაგვრელნი) ფსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. კარინ ბრამსონის რომანის. ხუდოლეევისა და ფეხნერის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე—რა სჭირდება გლეხობას.

დ. გურული -არჩევნების გარშემო.

ჯიხ.—ომი.

რუსული პრესა.

იოლა—გამოქცეულები.

ფარცხნალელი—ხარაგაულის რაიონი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნული კითხვა. სოც. ფედერალისტთა კონფერენციის რეზოლუციები. მე-8 ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიისა. რუსეთი. უცხოეთი. დროებითი მთავრობის ბჭობა რუსეთის მრეწველობაზე. რევოლუცია და რუსეთის ერები. საერთაშორისო კონფერენცია. ანკეტა მუშ. და ჯარ. კ. აღმასრულებ. კომიტეტისა. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 22 მაისიდან საგულისხმიერო პროგრამა

მკვდრეთით აღმსდგარი

დ ო ნ-ჟ უ ა ნ ი.

დრამა 5 ნაწ. პროლოგით ვ. პოლონსკისა და სხვათა მონაწ. 1. სიყვარულის ახლო; 2. გზა გულისაკენ; 3. ქალი დამარცხდა; 4. ყველას წინააღმდეგ; 5. დიდებულ გრძნობის სამსხვერპლო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან საუცხოვო სურათი!

კოკაინის მწეველი ქალი

(სიკვდილის ფრთებს ქვეშ). დრამა 4 ნაწ. ლისენკოსი, გაიდაროვისა და ორლოვას მონაწ.

სიყვარულის სტრატეგია

სახუმარო.

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრისგანყოფილება!

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადაჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?

(Определимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში" პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. **რედაქცია**

## რა სჭირდება გლეხობას?

დღევანდელი დაგმობილი ცხოვრების ნანგრევებზე რომ ახალი წესწყობილება ავაგოთ, ამისთვის უპირველესად საჭიროა სოფლის აღორძინება. გლეხობის უპირველეს საჭიროებას მიწა შეადგენს. მიწა სხვაგანაც სიმდიდრის წყაროა და ჩვენში ხომ ეს ცხადი ჭეშმარიტებაა: ამას წინად აღვნიშნე, რა საშუალებით და როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი. ყველა ერთხმად მოითხოვს, რომ გლეხს საკმაო სამუშავო მიწა მიეცეს, ეს მოთხოვნა პრინციპიალურათ სამართლიანია და მისი საჩქაროდ განხორციელება აუცილებელია. მაგრამ ეს ნაბიჯი სავსებით გლეხთა საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებს. საჩქაროა მეორე ნაბიჯი; აი რომელი.

ჩვენი გლეხის ღირსება ისაა, რომ მას უყვარს მიწაც და მიწის მუშაობაც. ეს სიყვარული იმდენათ ღრმაა, რომ მისი ასახსნელი მიზეზები და საბუთები ჩვენი ისტორიის წარსულში და ჩვენი სამშობლო ქვეყნის ბუნებაში უნდა ეძიოთ. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენი გლეხი მეტად დასჯილია და მისი სიყვარული მიწისადმი არ ფასდება; დღევანდელ პირობებში გლეხის მუშაობა შესაფერ ნაყოფს არ იძლევა.

გლეხი გულმოდგინედ მუშაობს, დაუზოგავად ოფლსა ღვრის და ბოლოს კი მას შესაფერ ნაყოფს ვერ ღებულობს აეს გარემოება მეტად დამაფიქრებელია. ეს გარემოება მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანის გულში. რა არის მიზეზი, რომ ჩვენი გლეხი ბევრს მუშაობს და სარგებლობას ცოტას ღებულობს? ამის მიზეზი ორია მიწის სივიწროვე და მუშაობის უცოდინარობა.

პირველ მიზეზს მიწის საკითხის მოწესრიგებით მოვსპობთ, მაგრამ ამით მეორე მიზეზი სრულებითაც არ ისპობა. რას ვხედავთ სოფელში.

ზოგან კარგი მიწის უქონლობისა გამო საცოდავი გლეხი მწირი ნიადაგის მიწას აკლავს თავის ძალღონეს. ზოგან დასამუშავებელი მიწის გაწმენდას, შერაგვას, დაცვას, დაფლობას და დაპატრონებას თითქმის მთელი ენერგიით ეწირება. ზოგან სიძვირისა გამო, მიწის შესაძენათ აუტანელ ვალში ვარდება. ზოგან სადავო ადგილებში უხდება მუშაობა და თავის ნაოფლარს საჩივრებსა და ამგვარ ხლაფორთებს ანდომებს. ყოველივე ამას ის დავუმატოთ, რომ ჩვენი გლეხი სრულიად განუვითარებელია და მიწის მუშაობაში პატრიარქალურ საფეხურზე დგას. ამბობენ ჩვენში მეურნეობა დაცემულიაო. მე კი ვიტყვი, რომ ჩვენში მეურნეობა სულ არ არის. თუ გადავხედავთ წარმოების სტატისტიკას და მხედველობაში მივიღებთ მცხოვრებთა რაოდენობას, ჩვენი ქვეყნის მდებარეობას და ნოყიერებას დავრწმუნდებით, რომ ის, რაც სამეურნეო წარმოებაა, მეურნეობის არსებობას არ ამტკიცებს.

მართალია პურსა და სიმინდს ვთესავთ, მაგრამ მთელი საქართველო რუსეთიდან მოტანილი პურით იკვებება; მევენახეობას ვეწევით, მაგრამ ღვინის დაყენება არ ვიცით. ვერც შენახვა და ვერც უვნებლად მისი შორს გაგზავნა მოგვიხერხებია. ხილი მოგვდის ბაღებსა და ეზო-გარემოებში, მაგრამ ბაზარზე ვერ გაგვიტანია.

თუ გვინდა გლეხობა გასაჭირიდან ვიხსნათ და მისი კეთილდღეობა საიმედო ნიადაგზე დავამყაროთ, მეურნეობა უნდა გავაუმჯობესოთ.

როგორ უნდა განვახორციელოთ ეს მიზანი? სამეურნეო შკოლების დაარსება და საცადი მინდვრების განმრავლება შორეული საშუალება და ყოველი ასეთი ზომა მეორე რიგში უნდა მოვაქციოთ. უპირველესად კი საჭიროა. სამეურნეო ცენტრები შევქნათ. ტეხნიკურათ ეს ამგვარად უნდა განვახორციელოთ. ყოველი მაზრის რამდენიმე კუთხეში უნდა იქნეს არჩეული ერთი ადგილი სადაც უნდა დავაბინაოთ რამდენიმე მეურნეობის მცოდნე პირი და იქვე ვიქონიოთ სამუშავო მანქანებისა და იარაღების საწყობი. განსაზღვრულ რაიონში დანიშნული მცოდნე პირები თავისი რჩევით და დარიგებით ხელმძღვანელობას გაუწევენ გლეხობას. ისინი შეამოწმებენ ნიადაგს და უჩვენებენ გლეხებს რადარა უნდა დასთესონ, რა მცენარეს როგორ უნდა მოუარონ, სად რა მცენარე გააშენონ და სხვა. ამასთანავე სამუშავო იარაღებისა და მანქანების ხმარებასაც შეაჩვევენ; ალაგ-ალაგ დანიშნული მეურნეები თვითონ დაიმუშავებენ რამდენიმე ნაჭერ მიწას და მცხოვრებლებს ცხად მაგალითს დაანახვებენ.

ეს სამეურნეო ცენტრები უნდა იქნეს მოწყობილი საზოგადო თანხით.

რამდენად უფრო ხშირი იქნება სამეურნეო ცენტრები და კარგად მოწყობილი, იმდენად უფრო მალე აყვავდება მეურნეობა და გაუმჯობესდება სოფლის ცხოვრება.

მეურნეობის გაუმჯობესება ბევრი მხრით წასწევს წინ საერთოდ სოფლის მდგომარეობას. მეურნეობის გაუმჯობესება მოუმზადებს ნიადაგს მრეწველობას და გონებრივ წინმსვლელობას. ამიტომ მეურნეობის აყვავება გლეხთა კეთილდღეობის საძირკვლად უნდა ჩავსთვალოთ და სოფლის აღორძინების საქმეც სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. სამეურნეო ცენტრები იქნება ჩვენი პირველი ნაბიჯი მეურნეობის ასაყვავებლად და შემდეგ, თავის-თავად, შეიქმნება სამელიორაციო ბანკები, რომელთა წყალობით აყვავდა გერმანელთა მეურნეობა. სამწუხაროდ ჩვენში ძლიერ ცოტა იწერება სამელიორაციო ბანკებისა და კრედიტების შესახებ.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## რუსული პრესა.

ფინეთის პოლიტიკური მისწრაფება თანდა-თან აშკარავდება. ფინების დიდი ნაწილი ავტონომიას არ ჰკმაყოფილდება. ის რუსეთისაგან სრულ ჩამოშორებას მოითხოვს. კერენსკის მიერ ჰელსინგფორსი ჯარისკაცებსა და მატროსებში წარმოთქმულ სიტყვას რუსული პრესაც გამოეხმაურა. აი რასა სწერს ტრუდოვიკ-სოციალისტების ორგანო „დენი" ე. ტარლეს პირით. იხ. № 57-ში წერილი „პირველი გაფრთხილება."

„კერენსკის სიტყვა სიმპტომია, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს ფინეთის საზოგადოება. კერენსკიმ სთქვა: რუსის ხალხის გულ გამლილობასა და დიდსულოვნობას ხშირად ცუდად იგებენ და უხამსად ეპყრობიან! მეტადრე დიდი სიფრთხილე გვმართებს აქ ფინეთში (ამას მინისტრი ხმის ამაღლებით ამბობს), რადგან არა მარტო გერმანელებს შეუძლიათ ჩვენი დიდსულოვნება სისუსტედა და უძლურებად ჩასთვალონო."

გაზ. „დენი" ამბობს: ფინეთში შეიძლება ვერ უწევენ სათანადო ანგარიშს იმ გარემოების დიდ მნიშვნელობას, რომ ეს სიტყვები სწორედ კერენსკიმ წარმოსთქვა... ის ლაპარაკობდა არა

როგორც საზღვაო და სამხედრო მინისტრი, დარწმუნებული იმაში, რომ დროებითი მთავრობა არავის დაანებებს სახელმწიფოებრივ ტერიტორიის შელახვას, არამედ ის ლაპარაკობდა როგორც პოლიტიკური მებრძოლიც, რომელსაც სწამს, რომ მაღალი იდეები უნდათ რუსეთისთვის საფრთხეს წყაროდ აქციონ.

ფინეთის საზოგადოების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ მისი სურვილი რუსეთისაგან სრულის გამოყოფისა ისე უმტკივნეულოდ ჩაივლის, როგორც ნორვეგეთისა და შვეციის განშორებამ ჩაიარა. კერენსკიც აფრთხილებს მათ, რომ ასეთი შეხედულება შემცდარია; რომ ასეთ მიმენტშიც კი რუსეთი საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ თავის ტერიტორიის მთლიანობა, ვისგანაც არ უნდა იყვეს, დაიცვას.

გაოცებაში მოვდივართ, როგორ დაესხათ თავშეკავებულ და წყნარ ფინელებს ასეთი თავბრუ? ნუ თუ ვერ ხედავენ, რომ მათ ძალა არ შესწევთ რუსეთის ძლიერების შერყევისა და ვერც ოდესმე მოიკრეფენ ასეთ ძალას? ფინელებმა უნდა იცოდენ, რომ მათ თუ ძალმომრეობა სცადეს, ამით გამოუსწორებელ უბედურებას გამოიწვევენ, რადგან ასეთი მღელვარებისა და საშიშროების დროს შესაძლოა ფლოტის ზარბაზნებმა თავის თავად ასტეხონ სროლა, პეტროგრადიდანაც ბრძანების მიუღებლადაც კი. ან რა საჭიროა ყველაფერი ეს? განა დროებითი მთავრობა უშლის ფინეთს იმოქმედოს? რისთვის იწვევენ ლანდს ქაოსისას? ცდას, ისარგებლონ დროებითი სისუსტით რევოლუციურ რუსეთისა, რომელმაც ესეც არის ფინეთი გაათავისუფლა, შეუძლია დიდის ხნით დაამკვიდროს შეშფოთება და სიმწარე; კერენსკის სიტყვები აღნიშნავდენ იმას, რომ არსებითად შემცდარია ის აზრი, თითქო შესაძლო იყოს რუსეთის სისუსტის ამრიგად გამოყენება.

ჯერჯერობით კერენსკიცა და მისს განკარგულებაში მყოფი ჯარი და ფლოტი ფინეთის მეგობრები არიან და არა მტრები. ის მეტად ამაყი და შეურიგებელი ტონი, რომელიც ამ ბოლო ხანებში ფინეთის საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეითვისა რუსეთის მიმართ, მიზეზი იყო იმისა, რომ კერენსკიმ გაფრთხილებით მიმართა მას. თვით ფინეთის ინტერესები მოითხოვენ, რომ ეს გაფრთხილება ღირსეულად იქნეს დაფასებული."

## არჩევნების გამო.

21 მაისს საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ მოახდინა წევრთა არაჩვეულებრივი კრება. კრებას საგნად ჰქონდა გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები. დასახელებული იყო სამი კანდიდატი: ა. ს. საყვარელიძე, ა. მ. კრინიცკი და ი. გ. კემულარია. არჩეულ იქნა ა. ს. საყვარელიძე.

ჩვენ არა გვქონდა რა საწინააღმდეგო დანარჩენი კანდიდატებისა: თვითეული მათგანიც, ჩვენი აზრით, ღირსეულად წაიყვანდა ამ დაწესებულების საქმეს. მაგრამ.... მაგრამ „გაქექილს გატეხილი სჯობიაო", —ნათქვამია. და ჩვენც გულახდილად უნდა აღვიაროთ, რომ ა. ს. საყვარელიძე უპირატესობის ღირსი იყო, რაც წევრთა საზოგადო კრებამ სამართლიანად დაადასტურა.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით კრების ამ გადაწყვეტილებას.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ჩვენი გრძნობა რაიმე ჯგუფური ინტერესით იყოს გამოწვეული. ჩვენ ის გვახარებს, რომ ეს არჩევნები იმისთანა მოვლენას წარმოადგენს, რომელიც კარგის მხრით ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას. ეს არჩევნები ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენ საზოგადოებას ამ მოკლე დროში უკვე გაუვლია რამოდენიმე საფეხური საზოგადოებრივი განვითარებისა.

ჩვენ კარგად გვახსოვს ისტორია ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. იყო დრო, როდესაც საზოგადოების წევრთ არ ჰქონდათ სიყვარული საზოგადო ინტერესებისა. იმ დროს, სამწუხაროდ, ვერ შეიგნეს, რომ იმათი პირადი სარგებლობა საზოგადო ინტერესებზეა დამყარებული. ამიტომ არჩევნებს ჯეროვან საზოგადოებრივ მნიშვნელობას არ აძლევდენ. იგინი იმას აძლევდენ თავის ხმას, ვისთანაც უფრო კარგი პირადი განწყობილება ჰქონდათ. „სულ ერთია, ვინც უნდა იყოს თავმჯდომარეო".—გაიძახოდენ. როდესაც რომელიმე მოხელეს განსხვავებულ ჯილდოს უსამართლოდ უნიშნავდენ, ერთი მეორეს ეჩურჩულებოდა: „რატომ ამბობ უარს, ეს ფული ბანკის კასიდან მიდის და არა შენი ჯიბიდანო." ამ მოსაზრებას, სამწუხაროდ, გავლენა ჰქონდა. ამ საერთო ინტერესების გაუგებრობამ ეს ბანკი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო: დიდი შრომა და ზედმეტი თანხა დასჭირდა საზოგადოებას, რომ ბანკი ლიკვიდაციას აშორებოდა.

ახლა სულ სხვა სურათს ვხედავთ. ძველი გაკვეთილით ისარგებლა საზოგადოებამ, რომელიც დღეს დიდი სიფრთხილით და დაკვირვებით მოეპყრა არჩევნების საქმეს. დააფასა ადამიანის განათლება, პატიოსნება და შრომის უნარი.

სალამს უძღვნით არჩეულსა და ამრჩეველთ!

**დ. გურული.**

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

### დეპეშები

**მოხალისეთა ბატალიონები.**

კამენეც-პოდოლსკი, მაისის 18. ჩრდილო დასავლეთის ასპარეზის დელეგატებმა შავი ზღვის ფლოტის დელეგაციას თან შეთანხმებით დაადგინეს შეადგინონ მოხალისეთა ბატალიონები, რომლებიც დაიჭერენ მტრისგან განადგურებულ ჯარის ნაწილების ადგილს.

**ალ. კერენსკი ოდესაში.**

სამხედრო საზღვაო მინისტრი ალ. კერენსკი შავიზღვის ფლოტის მეზღვაურებთან იყო. მეზღვაურებმა კერენსკი აღფრთოვანებით მიიღეს. მინისტრმა მეზღვაურთ სიტყვით მიმართა, და აღნიშნა, რომ მოპოებულ თავისუფლების გამაგრება და ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის შვილთა მიზან-შეწონილ და წესიერ მოქმედებაზეო. მეზღვაურებმა ალ. კერენსკის აღუთქვეს, მზადა ვართ თავი შევსწიროთ სამშობლოს ინტერესებსო. კერენსკის მისალმა აგრეთვე საფრანგეთის ელჩი ბოტიე.

**ისის ჯარის რეზოლუცია.**

რუმინეთში მყოფმა რუსის ლაშქარმა საფრანგეთის მინისტრის ალბერტ ტომას და ოფიცერთა თან დასწრებით კრება გამართა. კრებამ ერთხმად დაადგინა რევოლუციურ რუსეთის ჯარი დაუყონებლივ მიეშველოს მოკავშირეთა, რომელნიც ამ ჟამად გერმანეთის გაფთრებულ იერიშებს უმკლავდებიან.

**შავიზღვის ფლოტის დელეგაცია.**

მინსკი. მაისის 19 ჩამოვიდა შავზღვის ფლოტის დელეგაცია 56 კაცისგან შემდგარი. გაიმართა მიტინგი. ახლად ჩამოსულ დელეგატებმა მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს.

**კერენსკის დეპეშა პრემიერ მინისტრს.**

პეტროგრადი. მაისის 19. პრემიერ მინისტრმა მაისის 19 სადგურიდან მიიღო ალ. კერენსკის მიერ გამოგზავნილი დეპეშა: ამით გაცნობებთ, რომ სამხრეთის ფრონტზე ჯარში მშვიდობიანობა და სიწყნარეა. დაწვრილებით მოსვლისას გაგაცნობთ. სევასტოპოლში მდგომარეობა სასურველს პირობებშია. ამას წინად მომხდარი ამბავი კეთილად დაბოლოვდა. ალ. კერენსკი.

**დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ.**

პეტროგრადი. მაისის 20 იურიდიულმა საბჭომ შეადგინა პროექტი დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნების შესახებ. დამფუძნებელ კრების წევრებათ ირჩევენ საყოველთაო თანასწორის, პირდაპირის და ფარულის კენჭის მიცემით განურჩევლად სქესისა. არჩევნებში უფლების მიღება შეეძლება ყველას, ვინც ოც (20) წლამდის აღწევს.

**სათათბიროს წევრთა ბჭობა.**

პეტროგრადი. მაისის 20. სათათბიროს წევრებმა იქონიეს ბჭობა აგრარული კითხვის შესახებ. შიდლოვსკიმ განაცხადა: მსხვილი კერძო საკუთრება ამიერიდან უნდა მოისპოსო. სახელმწიფოს უხდება ამ მძიმე მომენტში ფრიად საყურადღებო კითხვების გადაჭრა.

ბობლიკოვი იხება სატრანსპორტო და საფინანსო კრიზისს. და მოითხოვს საჭირო გადასახადების მომატებას. შინგარიოვმა აღნიშნა, რომ მუშების მოთხოვნილებათა გადიდება გამოიწვევს პურის გაძვირებასაო.

**ალ. კერენსკი კიევში.**

კიევი. მაისის 19. ჩამოვიდა სამხედრო და საზღვაო მინისტრი ალ. კერენსკი. მინისტრს საგანგებო ზეიმით შეხვდნენ. კერენსკიმ განაცხადა, რომ ეხლავე ჯარის ეროვნულად გამოყოფა ყოვლად მოუხერხებელიაო.

**დამფუძნებელი კრება.**

პეტროგრადი. მაისის 19. დამფუძნებელი კრების მოწვევა შეიძლება მოხდეს მომავალ ნოემბრამდის. იმ მოსაზრებით მოხდა, რომ არჩევნებში ხელს შეუშლიდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას.

**ალ. კერენსკი სევასტოპოლში.**

სევასტოპოლი. მაისის 17 ალ. კერენსკი მივიდა მთავარ კომიტეტში, სადაც მას მიეგებენ „ურა"-ს ძახილითა და მისა სალმებელი სიტყვებით. კერენსკიმაც თავის მხრით გამამხნევებელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ. 4 საათზე კერენსკი ავტომობილით გაემგზავრა კულიკოვის მინდვრისაკენ, სადაც თავმოყრილი იყო ჯარი. გაიმართა მიტინგი პირველი სიტყვა წარმოსთქვა ალ. კერენსკიმ. ილაპარაკეს მრავალმა ორატორმა.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**მეფე კარლოს სეფე სიტყვა რეიხსრატში.**

სტოკჰოლმი. მაისის 18, იმპერატორმა კარლოსმა რეიხსრატში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: მე თქვენ მსურს გამოგიცხადოთ სასიხარულო ამბავი. გადავსტყვიტე ჩემი თვით მპყრობელური უფლებანი განვახორციელო კონსტიტუციის სახით. მე ვალად ვრაცხ ჩემს თავს ფიცი დავსდო კონსტიტუციის ერთგულების საქმეში. ვეცდები ხელი შეუწყო კონსტიტუციის ძირითადი კანონების სისრულეში მოყვანის საქმეს, რომლის თანახმადაც ზავის კითხვის გადაწყვეტა ჩემს უფლებაში რჩება. ღრმადა ვარ დარწმუნებული რომ კონსტიტუციონურს სახელმწიფოში მცხოვრებთა მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

მრწამს აგრეთვე, რომ ზავის მოახლოებით მონარქია შეგმატებსთ თქვენ ძალას, სახელმწიფოს ჩარჩოებში ნიადაგი მოუმზადდეს ეროვნულ კულტურულ განვითარების საქმეს.

ამასთანავე მსურს დავრჩე სამართლიან და კეთილ-სინიდისიერ მონარქად ჩემი ერთგული ხალხისათვის კონსტიტუციონურ სახელმწიფოში. სხვა რიგად დემოკრატიის მდგომარეობის შემსუბუქება არ მოხერხდება.

დანარჩენ ეკონომიურ-სოციალური კითხვების შესახებ იმპერატორმა სთქვა: დიდებული იქნება მომენტი, როდესაც პირველად ახალი მონარქი მიეგებება ხალხის წარმომადგენლებს. ამ მომენტის ლოზუნგი უნდა გახდეს მამულის სიყვარული. ეს მომენტი ჩაითვლება სახელოვან ძველი ავსტრიის განახლებისა და აყვავების დასაწყისად.

**ავსტრიის ერთა ავტონომია**

სტოკჰოლმი მაისის 18 ავსტრიის ახალ მინისტრ პრეზიდენტი მიმართავს სრულიად ავსტრიის ხალხს და სთხოვს, რომ მათ უქვეშევრდომილესი თანაგრძნობა გამოუცხადონ იმპერატორ კარლოსს, რომელიც მზად არის ავსტრიის ყველა ერთა სურვილი ისე დააკმაყოფილოს, როგორც ეს მათ ეროვნულ მოთხოვნილებათ შეეფერებაო. რეიხსრატს განხილული ჰქონია კითხვა სლოვაკებისა ჩეხებისა და ხორვატებისა რომელთაც მომავალში ავტონომიურ სახელმწიფოს უფლებანი უნდა მიენიჭოსთ.

**ვინ იყო გრ. ტისსა.**

ამასწინად გადამდგარ ავსტრო-უნგრეთის მინისტრ პრეზიდენტს სტოკჰოლმის პრესა ასე ახასიათებს. „გრაფი ტისსა უკიდურესი გერმანოფილ იყო, მას ავსტრიის კეთილდღეობა მხოლოდ გერმანეთთან მჭიდრო კავშირში წარმოედგინა. ტისას ძულდა მინისტრი ჩერნინი, რომელსაც დემოკრატობას სწამებდა, მეფე კარლოსს რამდენჯერმე სთხოვა მისი გაძევება. კარლოსმა კიდეც გადასწყვიტა ჩერნინის დათხოვა მაგრამ ამას წინააღუდგა პრინცი ჰოჰენლოე. ტისა დიდი მეგობარი იყო კანცლერ ბეთმან ჰოლვეგისა და კაიზერ ვილჰელმისა. სტოკჰოლმის პრესა აღნიშნავს, რომ ტისსა გადაყენების შემდგომ ავსტრიში სამუდამოდ დამარცხდა გერმანოფილურ მიდრეკილება.

**ომის კითხვა.**

გაზეთი „ტიმესი" აღნიშნავს, რომ დასავლეთის მოკავშირეთა და რევოლუციურ რუსეთს შორის ომის მიზნებში არავითარი განსხვავება არსებობს.

„დაილი ნევსი" სწერს: მოკავშირენი მზად არიან ყველგან განამტკიცონ თავისუფლება. ჩვენ არ მივისწრაფვით დაპყრობისაკენ, როგორც 1 სურათში ჰგონიათ არამედ გვინდა აღვადგინოთ სამართლიანობა. ანექსიის მომხრენი არა ვართ, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ პოლონეთი, ელზას ლორენი და ბელგეთი არ წაერთვას მტერს. ჩვენ დღესაც იმას ვამბობთ, რომ საერთაშორისო კეთილდღეობა და თავისუფლების განმტკიცება შეიძლება მხოლოდ გერმანეთზე გამარჯვებით.

**სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ.**

ბულგარეთის დელეგატები კონფერენციაზე უარყოფენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპს.

ამერიკის სოციალისტ პაცპისტმა სთქვა: „ამ ჟამად მილიტარიზმის მოსპობაზე ლაპარაკი უნაყოფო წყლის ნაყვა არის. მილიტარიზმის შესუსტებას მოახდენს, მხოლოდ საერთო შიმშილი და მდგომარეობის გამწვავება და არა ლამაზი მომხიბლავი სიტყვები.

რამდენად ომი გააძნელებს ცხოვრებას, რამდენად იგი მოსპობს ხალხს იმდენად შესაძლებელი იქნება მილიტარიზმის უარყოფაო.

## რუსეთი.

(პ. დ. ს.)

### დეპეშები.

**ყაჩაღობა და ანარქიული მოძრაობა.**

ქ. ბენეცი მაისის 18 შეიარაღებული ჯარის კაცები თავს დაესხენ კაშინის მაზრის მონასტერს და გაძარცვეს.

**გომელი** აღმოაჩინეს ბრბო ყაჩაღებისა, რომელთა შორის რამდენიმე დეზერტირიც იყო. ამ ბრბომ სოფ. სტარაბიაცში მოჰკლა მღვდელი და გაძარცვა ფოსტა.

### ცეცხლი.

**მინსკი.** მაისის 19. იგუმენის მაზრაში გრაფ ჰატოცკისა და მემამულე შევინის ტყეებს ცეცხლი უკიდია. გლეხებმა ცეცხლის დაქრობაზე უარი განაცხადეს. ამის გამო კომისარმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ცეცხლი ჯარის საშუალებით ჩააქრონ.

### შიმშილობა.

**კიევი.** მაისის 19. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დეპეშით მიმართა სამიწადმოქმედო მინისტრსა და მუშათა და ჯარის კაცთა პეტროგრადის საბჭოს, რათა მოსალოდნელ შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღმოუჩინონ.

### თავისუფლების სესხი.

**პეტროგრადი.** მაისის 19. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრებაზე ერთხმად დაადგინეს, ეხლავე შეუდგენ თავისუფლების სესხზე ხელის მოწერის გამართვას.

### ებრაელთა შორის.

**პეტროგრადი.** მაისის 19. ებრაელების მთავარ სინაგოგაში რაბინმა აიზენშტადმა მხურვალე სიტყვით მიმართა მლოცველ ებრაელობას, და განუმარტა მათ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა. რაბინმა მოუწოდა ებრაელებს ხელი შეუწყონ რუსეთის თავისუფლებას; და გააძლიერონ იგი თავისუფლების სესხზე ხელის მოწერით.

### ცეცხლი.

**სარატოვი.** მაისის 19. ცეცხლმა დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. მიღებულია ზომები ცეცხლის წინააღმდეგ.

### გლეხების გამოსვლები.

**პსკოვი.** მაისის 19. გლეხების სამარცხვინო გამოსვლებს საზღვარი არა აქვს. შეიჭრენ გლეხ კობრიკოვის ოჯახში გამოჰყარეს გარედ ცოლშვილი კობრიკოვისა და აიკლეს ყველაფერი. მოსპეს ბაღი და გაანადგურეს რასაც კი თვალი შეასწრეს.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**აღმოსავლეთის ასპარეზზე**

პეტროგრადი. მაისის 20 ოფიციალი. მტრის არტილერია ინტენსიურად მოქმედებდა. მტერი მძიმე არტილერიის საშუალებით განაგრძობდა ბორდზე ძლიერათ დაშენას. ასპარეზის დანარჩენ ნდგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზზე.**

პეტროგრადი. მაისის 20. ოფიციალი. სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**კავკასიის ასპარეზზე.**

პეტროგრადი. მაისის 20. ოფიციალი. რუსთაველის ჩრდილოეთ [illegible] [illegible]. თავდასხმა მოვიგერიეთ. [illegible] მიმართულებით ქურთების თავდასხმა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.**

ლონდონი. მაისს 19. ოფიციალი. ჩვენა საჰაერო რაზმებმა ჩამოჰყარეს ყუმბარები და ამაფეთქებელი ნივთიერებანი. მფრინავები უვნებლად დაბრუნდენ.

**ზღვაზე.**

პეტროგრადი. მაისის 20. ოფიციალი. ანატოლიის სანაპიროები მაისის 16 ჩვენმა გემებმა გაანადგურეს საინტენდანტო საწყობები. გაანადგურეს ყაზარმები საარტილერიო საწყობები, და ნავთსადგური.

## ახალი ამბავი.

არჩევნები ქუთ. საურთ. ნდობის. საზოგადოებაში. კვირას 21 მაისს ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდა ქუთაისის ვაჭართა და მცხოვრებთა კრება საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში თავმჯდომარის ასარჩევად ყუთი დაიდვეს ბ. ბ. ალექსანდრე საყვარელიძემ იოსებ კემულარიამ და ალექსანდრე კრინიცკიმ. ალ. კრინიცკიმ მიიღო 120 თეთრი და 120 შავი კენჭი იოსებ კემულარიამ 101 თეთრი და 139 შავი, ალექსანდრე საყვარელიძემ 138 თეთრი და 99 შავი. საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ალექსანდრე საყვარელიძე.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ნიჟარაძე გუშინ 23 მაისს დილის მატარებლით ქ. სოხუმს გაემგზავრა მას რიონის სადგურზე დახვდენ თბილისიდან მომავალნი; ღენერალი ვ. დ. გაბაშვილი პართენ ალექსანდრესძე გოთუა და ი. ვ. აფაქიძე. დასახელებული პირები მონაწილეობას მიიღებენ 25 მაისს სოხუმის ოლქის სამღვდელოების და ხალხის წარმომადგენელთა კრებაში, რომელიც მოწვეულ იქნება საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის კითხვის შესახებ სათათბიროდ.

◆ სასურსათო საქმე კვირას 21 მაისს ქალაქის თვითმართველობაში მოხდა თათბირი სასურსათო საქმეთა შესახებ. თათბირმა სისრულეში მოიყვანა სურვილი ქალაქის სასურსათო მმართველობის დაარსებისა. 21 მაისიდან ასეთი მმართველობა უკვე ფაქტიურად არსებობს. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი სადაც თავმჯდომარედ არის ბ-ნი ალექსანდრე რომანოზის-ძე ჯაფარიძე, მის ამხანაგად ბ-ნი სამსონ კილაძე და მდივნად ბ-ნი მეძმარიაშვილი. პრეზიდიუმს დაევალა, ეხლავ შეუდგეს სასურსათო საქმეთა მოწესრიგებას ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის ინსტრუქციის თანახმად.

◆ გამოვიდა ჟურნ. „თავისუფლების" მე4 ნუმერი.

◆ სასწავლებელში მ. ოუნდუას ქალთა პროგიმნაზიამ კავკასიის ოლქის სამზრუნველოდან მიიღო უფლება, რომ კურსდამთავრებულთა გამოცდებზე იყოლიოს ოლქიდან მოწვეული დეპუტატი. წელს ეს სასწავლებელი გაათავა შემდეგმა პირებმა:

ალ. შავდიამ ვ. კვიმსაძემ ნად. ჯაფარიძემ ან. კაზიმიროვმა თ. გურულიშვილმა აგ. ჭაბუკიანმა და ე. გიორგაძემ.

◆ ეგნატე ნინოშვილის სახელობის ჩოჩხათის სამკითხველოსათვის წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით შეწირულება.

21 მაისს გურიაში, სოფ. ჩოჩხათის ახლადგახსნილ ეგნ. ნინოშვილის სამკითხველოს შესწირა ჟურნალ-გაზეთების „იმერეთისო გამგემ ასიდორე კვიცარიძემ 400 ცალი ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ძველი და ახალი ლიტერატურისა ღირებული 121 მან. 28 კ.

ეს ძღვენი წაიღეს ქუთაისიდამ მუშათა ორგანიზაციების დელეგატებმა ლერუხაძემ და ილია გეგეჭკორმა.

## პროვინცია.

**ჩოჩხათი** (გურია).

**ეგნატე ნინოშვილის დღე.** კვირას 21 მაისს ეგნატე ნინოშვილის საფლავზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა და ქართულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებმა. გადახდილ იქმნა სამოქალა-

ქო პანაშვილი. წარმოითქვა მრავალი სიტყვა და გაიხსნა ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სამკითხველო. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ია ეკალაძე-ცინცაძემ.

**ზესთაფონი.** 21 მაისს, აქ გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების საღამო. ლექციის საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ლექცია წაიკითხა ბ-ნმა ალ. გარსევანიშვილმა შემდეგ თემაზე. „რა ნაყოფი მოუტანა ასი წლის ავტონომიამ ფინეთს." მომენტის შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. გრიგოლ ვეშაპელმა და ლელი ჯაფარიძემ.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**დ. ახალ-სენაკი.** უკვე მეორე თვეა რაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია მოეწყო და კომიტეტი დაარსდა. პირველ ხანებში მუშაობის პირობების სიძნელისა გამო ორგანიზაციის მოქმედება ვიწრო იყო და მთელი საქმე მხოლოდ ორიოდ-სამიოდე წევრის ჩაწერით ისაზღვრებოდა. ამ ბოლო ხანებში კი მუშაობა გამოცოცხლდა.

უფრო ინტენსიურ მუშაობისათვის დაარსებულ იქნა პარტიული ბიურო, ბიუროს შენობაში ყოველ შაბათ-კვირას იმართება საერთო და საჯარო უპარტიო კრება. კრებაზე ჩამოსული ორატორები ხალხს უმარტავენ პარტიის პროგრამას. ამ კრებებზე მოწვიულ იყვნენ უკვე ბ-ნი სპ. კედია და უკანასკნელად ბ-ნი ვასილ წერეთელი. კომიტეტი მომავალშიც ასე აპირობს მუშაობის განგრძობას. ხალხიც თავის მხრით მეტის ყურადღებით ეპყრობა ამ მიმართულებას.

კრებებზე დამსწრეთა რიცხვი თანდათან იზრდება, მეტი ნაწილი კრებებით კმაყოფილი რჩება. საქმის უკეთ მოსაწყობად კომიტეტმა ირჩია საუბნო მუშაობის სისტემას მიმართის.

ახლო-მახლო მდებარე ადგილებს უკვე დაეტყო დაწყებული მუშაობის კვალი. ხალხი და განსაკუთრებით გლეხობა გაცნობის შემდეგ დიდი სიმპატიით ეპყრობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას. აქაური ორგანიზაცია თავის კრებებზე ხალხს მეტი შეგნებისაკნ მოუწოდებს და ყველა პარტიის პროგრამის განხილვასა სთხოვს. ხალხის შეხედულების ცვლა უჩინრად ხდება. მალე მშრომელი გლეხობაც ჰპოებს თვის ნამდვილ წრესა და იდეოლოგებს.

**მ. ეგრისელი.**

**ქ. ფოთი.** ხუთშაბათს 18 მაისს ადგილობრივი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკურ კლუბში მოხდა მორიგი საერთო კრება პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს სოლომონ ჰოჰუა, მდივნად კიღ. ქორიაშვილი. პირველად ილაპარაკა შალვა ამირანაშვილმა, რომელმაც საინტერესო ლინგვისტური ცნობები მიაწოდა დამსწრე საზოგადოებას ქართული ენის შესახებ. საზოგადოება დიდის ყურადღებით ისმენდა ახლად გიმნაზია-კურს დამთავრებულ ახალგაზრდის სიტყვებს. დიდად სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი მომავალი თაობა ასე ყურადღებით ეპყრობა ქართული ენის გამოკვლევას და შესწავლას. ამირანაშვილმა შეადარა მრავალი მეგრული სიტყვა ქართულ და აფხაზურ სიტყვებს რითაც ამტკიცებდა საერთოდ მეგრულნი ეს სიმდიდრეს. საზოგადოებამ სთხოვა ამირანაშვილს, რათა შემდეგშიაც მოაწოდოს მას ასეთი ცნობები ქართული ენის შესახებ. შემდეგ ილაპარაკა ი. ლოლუამ. მან მშვენივრად გააშუქა საქართველოს ავტონომიის საკითხი. მისი ლამაზი და მხატვრული ენა ხიბლავდა დამსწრეთ. საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა ორატორი.

აგრარული საკითხი მარტივად და მკაფიოდ გააშუქა ილო ქოჩიაშვილმა. ის საერთოდ შეეხო ყველა პარტიის მიერ წარმოყენებულ დებულებებს ამ საკითხზე და ნათლად დაამტკიცა ეროვნულ-დემოკრატების მოძღვრობის რეალური საფუძველი. მას სრული იმედები აქვს, რომ ეროვნულ კითხვაში ყველა პარტიების ერთ გამოძახილს გავიგონებთ ახლო მომავალშიო. დაბოლოს 13 წლის ბიკტორ გაბესკირიამ წაუკითხა საზოგადოებას თავისი საკუთარი ლექსი. „ახალგაზრდა ქართველი." ამ პატარა ქართველის საქციელმა აღფთოვანებაში მოიყვანა ყველანი. პატარა ბიკტორმა თავის მოხსენებაც წაიკითხა. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. მორიგი კრებაა ხუთშაბათს 25 მაისს.

**კოწია მაღნარაძე.**

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

# მ ო წ ო დ ე ბ ა

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

## ო მ ი.

20 მაისის მთავარ სამხედრო ბანაკის ცნობით რუსეთის აღმოსავლეთის ასპარეზით გერმანელებს ძლიერი შემოტევა დაუწყიათ. მოწინააღმდეგის არტილერია ინტენსიურად უშენდა ქ. ბორდს ამ რიგად გერმანეთის სარდლობა დრო გამოშვებით აღმოსავლეთის ფრონტზეც იჩენს აქტივობას. კავკასიის ასპარეზზე ოსმალნი და ქურთთა რაზმები რევანდუშის მიმართულებით შეტევას აახლებენ. 18 მაისს ოსმალთა ერთი როტა თავს დასცემია რივანდუშის მახლობლად მდგომ რუსის ჯარს. თან და თან ირკვევა, რომ ოსმალნი ერიდებიან რუსის ძლიერ რაზმთან პირდაპირ შებმას და იგინი რუსის ჯარს შერჩეულ ადგილებში ავიწროვებენ.

დასავლეთის ასპარეზზე შამპანში და მდინარე სომმას ნაპირებით მძაფრი ბრძოლები სწარმოებს. გერმანელები შეტევაზე გადავიდენ. ახმაურდა აგრეთვე იტალეთის ასპარეზიც. ტრეტინოს მიმართულებით ავსტრიელებმა თავდასხმები გააჩაღეს. საერთოდ ამ ბოლო დროს ბრძოლის ველს მეტი აქტივობა დაეტყო.

ჯიხ.

## უკანასკნელი ცნობები.

**ნ. გუჩკოვი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.**

,,ჩვენი შინაური მდგომარეობა მეტად გართულდა. კრიზისები გამრავლდენ არა გვაქვს ფული, დაგვერღვა წესრიგი. ,,სამშობლოგანსაცდელშია''. ჯარი სულიერად ეცემა, რუსეთი ორნაირს უბედურებას ელის. გარეშე მტერთან დამარცხებას და შინაურ შფოთს, რაც ბოლოს მოუღებს რევოლუციით შეძენილ თავისუფლებას. მრეწველობა დაეცა, წარმოება შეფერხდა, მუშები ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს აყენებენ... ერთი სიტყვით ჩვენ ამ ჟამად ქვესკნელის პირად ვდგევართ და საკმარისია ერთი უბრალო მუჯლუგუნი ვინმემ წამოგვკრას და უფსკრულში გადავეშვებით.

## ეროვნული კითხვა.

**ი რ ლ ა ნ დ ი ა**

ინგლისის პრემიერ მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს სრულიად ირლანდიის ყრილობა („კონვენტი"), რომელიც შეიმუშავებს ირლანდიის კონსტიტუციის პროექტს ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ თვითმართველობათა, მუშების კავშირებისა უნივერსიტეტებისა და ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები გარდა სინ-ფეინერებისა. სინ ფეინერები აცხადებენ „ჩვენ არცერთ იმ ყრილობაში მივიღებთ მონაწილეობას, რომელიც დიდბრიტანეთის მთავრობის მიერ იქნება მოწვეულიო.

**სრულიად დამოუკიდებელი ფინეთი.**

ფინური გაზეთი „ჰუფვუსტად ბლადეტი" არჩევს რუსული გაზეთების აზრს ფინეთის შინა-მმართველობის შესახებ და გასაოცარის გულახდილობითა და რიხით სწერს: „ჯერ ერთი მტკნარი სიცრუეა, თითქოს ფინეთის დამოუკიდებლობის იდეა თითო ოროლა ფინს დაებადათ, ჩვენ იმდენად გაგვტანჯა რუსეთის ცნობილმა „სუვერენულმა უფლებებმა", რომ ეხლა გვჭირია სრული გარანტია ეროვნულ თავისუფლებისა. ფინეთის სრულ თავისუფლებას ესწრაფის არა ორიოდე კაცი, როგორც ამტკიცებენ რუსული გაზეთები, არამედ მთელი ერი, „ფინეთის სრული განთავისუფლება" — ეს არის მთელი ერის ზრახვა და რუსულმა გაზეთებმა რომ ბევრიც ამტკიცონ ამის საწინააღმდეგო ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება. ფინეთის ავტონომია ეს მხოლოდ მინიმუმია ყველა ფინურ პარტიებისაო" — შემდეგ გაზეთს მოჰყავს „დენ"-ის აზრი რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება ფინეთის შინამმართველობის თავისუფლებას მისცემს და სწერს: „საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ მარტო ავტონომია ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს: ყოველთვის, როდესაც კი იბადებოდა კითხვა იმის შესახებ, თუ რა იყო ფინეთის „შინაური" და რა იყო რუსეთის მთავრობის კომპეტენციის საგანი, რუსეთის თვითნებობას და ძალმომრეობას ფართე ასპარეზი ეშლებოდა ხოლმე. ამიტომ არ გვინდა ასეთი თავისუფლება, რომელშიაც რაიმე სადაო არისო, ამიტომ მოვითხოვთ ფინეთის სრულ თავისუფლებასო".

## დროებითი მთავრობის გრძნა

**რუსეთის მრეწველობის შესახებ.**

დროებითს მთავრობას ლითონის მწარმოებელთა წარმომადგენლებთან თათბირი ჰქონდა ლითონის მრეწველობის შესახებ. მრეწველთა მოხსენების მიხედვით ლითონის მრეწველობის საქმე დიდად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა მუშების უზომო მოთხოვნილებათა გამო. მუშის ხელფასს წარმოების მთელი შემოსავალი უნდება, მუშები არ სთანხმდებიან შრომის მოწესრიგებას, შემარიგებელ კამერებს გაურბიან და ქარხნების ადმინისტრაციის განკარგულებებს არ ემორჩილებიანო. ასეთ პირობებში მრეწველობას დიდი საფრთხე მოელის, რის გამოც საქმეში უთუოდ მთავრობა უნდა ჩაერიოსო. მრეწველთა ცნობით დონეცის 13-ს ლითონის სამრეწველოში, რომლის ძირითადი თანხა 1916 წელს 195 მილიონს საერთო შემოსავალი კი 75 მილიონს, ხოლო დივიდენდი 18 მილიონს უდრიდა, მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, რის აღსრულებაც წინანდელთან შედარებით 240 მილიონით ზედ მეტ ხარჯს მოითხოვდა. ქარხნის პატრონები 64 მილიონის მომატებას თანხმდებოდნენ. მრავალ სამრეწველოში მთელი წმინდა შემოსავალი მუშებს დაუთმეს, მაგრამ ესენი მაინც თავისას მოითხოვდნენ. ხელფასის საერთო მომატება მექარხნეთა ანგარიშით რუსეთის სამხრეთ ნაწილში 800 მილიონს, ხოლო ურალზე 300 მილიონს უდრის. ამ პირობებში სულმოკლე ხანში დაიხარჯება ყველა ძირითადი თანხები და ქარხნებიც დაიხურება.

შრომის მინისტრმა სკობელევმა განაცხადა, რომ დონეცის რაიონში მუშები საქმეს ისე კი არ ამწვავებენ, როგორც მრეწველები მოგვითხრობენ არამედ მათ განსაკუთრებული კომისარიც კი ამოირჩიეს დროებით მთავრობასთან ხელფასის შესაძლო მომატების შესახებ მოსალაპარაკებლად. მინისტრი თანაგრძნობით უყურებს მუშათა მოთხოვნილებას და საჭიროდ სთვლის ხელფასის კითხვის მოსაწესრიგებლად განსაკუთრებულ ორგანოს დაარსებას, მინისტრის აზრით, თუ მრეწველებს რუსეთის მრეწველობის ომის გათავებამდე მიყვანა ჰსურთ, მათ ყოველგვარ მოგებაზე ხელი უნდა აიღონ; დიდი გაჭირვების ხანაში კაპიტალი რამოდენიმე ხანს უდივიდენდოთ მუშაობს, და სახელმწიფო იძულებული გახდება არა მარტო მიმდინარე წლის, არამედ გასულ წლების დივიდენდიც მიიღოს მხედველობაში.

მრეწველები ხელს აიღებენ მოგებაზე და მთავრობის ჩარევას შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჭიროდ სცნობენ. თავისი მოსაზრებანი წარმოადგინეს შემდეგ მინისტრებმა ჩერნოვმა და წერეთელმა. მათის აზრით მრეწველებმა მთავრობას ხელი უნდა შეუწყონ მრეწველობის და შრომისა და კაპიტალის მოწესრიგების საქმეში, სკობელევის აზრით ყოვლის უწინარეს, მთავრობის კანტროლი მრეწველობის იმ დარგებში უნდა დაწესდეს, სადაც ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობა დღევანდელ მომენტის მიხედვით მიუცილებელია.

დროებითმა მთავრობამ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონოვალოვის თანახმად დაადგინა მიენდოს ფინანსებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და შრომის მინისტრებს წარმოუდგინონ დროებით მთავრობას დასიმტკიცებლად თავისი მოსაზრებანი შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის და თვით მრეწველობის მოსაწესრიგებლად.

## რევოლიუცია და რუსეთის ერები.

ამ სათაურით გაზ. „უტრო როსია"სში უნდა მოთავსდეს წერილების მთელი რიგი. მოგვყავს პირველი წერილიდგან რამოდენიმე ადგილი:

„რუსეთს დედამიწის ხმელეთის თითქმის მეექვსედი ნაწილი უჭირავს. ამ ვეება სივრცეზე დასახლებულა კულტურულ განვითარების თითქმის ყველა საფეხურზე მდგომარე ხალხები. ველიკოროსები — რუსეთის მპყრობელი ერი, — მცხოვრებთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს (43 პროც. მდე). უკულტურო ერები რომ გამოვრიცხოთ, მალოროსები, პოლონელები, ბელორუსები, ლიტველები, ებრაელები, ლატიშები, ესტონელები, ქართველები, სომხები, თათრები და სხვა კულტურული ერები მცხოვრებთა საერთო რიცხვის 42 პროც. შეადგენენ. ამ რიგად რუსეთში მპყრობელ ერს უპირისპირდება რაოდენობით თანასწორი არამპყრობელ ერთა კრებული.

ამ ციფრების შედარება საკმარისია იმ ნაციონალურ პოლიტიკის დასახასიათებლად, რომელსაც ძველი მთავრობა აწარმოებდა, და თუ გნებავთ, იმ პოლიტიკასაც, რომელიც თავს იჩენდა ველიკოროსთა საზოგადოების უდიდეს ნაწილში...

ძველი მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა ამის დაწყებამდე ამოიწურებოდა ბრძოლით არამპყრობელ ერთა ეროვნულ თვითშეგნების ყოველ გამოხატულების წინააღმდეგ. არა სასურველად იყო მიჩნეული არამპყრობელ ერთათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, რაც ოფიციალის, ბიუროკრატიულის შეხედულებით იმპერიას ვითომ დაშლას უქადიდა. მაგრამ ცენტრის გარშემო ღელავდა ეროვნულ მისწრაფებათა აღქაფებული ზღვა, და რაც უფრო სცდილობდა ძველი მთავრობა ამ მისწრაფებათა ჩაღრჩობას, მით უფრო ღვივდებოდა ერებში შინაგანი მუშაობა და მით უფრო მწყრომარე სახის ბრძოლა მზადდებოდა.

ეროვნული მისწრაფებანი, რომელთაც მრავალგზას უჩენიათ თავი რუსეთში ამ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში, მინელდენ 1905 წლის. შემდეგ დამყარებულ რეაქციის დროს ვიდრე ომის დაწყებამდე.

27 თებერვლის რევოლუციამ გაჰფანტა უუფლებობის ამყაყებული ბურუსი, რომელიც რუსეთის საზოგადოებრიობას თავს დასწოლოდა და ქვეყნის საყოველთაო თანასწორობის საფუძველზე გარდაქმნის ლოზუნგებთან ერთად წამოყენებულ იქნა ლოზუნგი, რომლის მიხედვით ყოველ ერს ეკუთვნის თავისი ცხოვრების მოწყობის უფლება",

## საერთაშორისო კონფერენცია.

როგორც ვიცით, პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილი აქვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. მოწვევის საქმე უნდა მოაგვაროს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლისთვისაც მუშ. და ჯარ.-კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი საორგანიზაციო დებულება შეიმუშავა:

კომისიაში შევა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი, აღმასრულებელ კომიტეტის სამი წევრი არჩევით და შემდეგი პარტიების წარმომადგენლები: ორი სოციალ-რევოლუციონერებისა, ერთი ბოლშევიკებისა, ერთი მენშევიკებისა, ერთი ბუნდისა, ერთი ლატიშთა სოც.-დემოკრატებისა და თითო-თითო დანარჩენ პარტიებისაგან, რომელნიც აღმასრულებელ კომიტეტში შედიან. [illegible] კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს სხვა პირებიც რჩევითი ხმით; კომისიას უფლება აქვს საზღვარ-გარედ წარმომადგენელი გაგზავნოს და მას „აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი უწოდოს.

## ანკეტა მუშ. და ჯარ.-კ. დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტისა,

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საერთაშორისო დამოკიდებულებათა განყოფილება შემდეგს ანკეტას გზავნის:

„პეტროგრადის მ. და ჯ.-კ. დეპ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა იკისროს და ამ საქმის გამო უცხოეთის პარტიებთან და ორგანიზაციებთან უკვე კავშირი დაიჭირა.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნებიან ორგანიზაციები, რომელნიც მიიღებენ მუშათა და ჯარისკაცთა მოწოდების თვალთახედვას: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე დამყარებული.

ეს პლატფორმა ზავის პირობებში ამა თუ იმ კონკრეტიულ განსახიერებას მიიღებს. რა თქმა უნდა, კონფერენცია ამ კითხვის განხილვას შეუდგება. ამ კითხვას დიდი ხანია არკვევდა უცხოეთისა და რუსეთის სოციალისტური ორგანიზაციებიც და პრესაც. საერთაშორისო განყოფილება ამზადებს რა მასალებს კომისიისათვის, გთხოვსთ ამ კითხვის შესახებ თქვენი აზრი გამოსთქვათ და წარუდგინოთ მას ყოველი სხვა მასალაც, რაც თქვენს განკარგულებაში იქნება.

კერძოდ სასურველია თქვენი აზრი შემდეგი კითხვების შესახებ.

1) სთვლით თუ არა კონტრიბუციად ამ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ომმა მიაყენა სახელმწიფოებს (მაგ. ბელგეთს, საფრანგეთს, სერბეთს და სხვა), და თუ არა სთვლით, ვის შეიძლება, ან ვის უნდა დაეკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებ ;

2) რა სახით უნდა განხორციელდეს ერთა თვითგამორკვევის უფლება საზღვრებთან მდებარე ადგილებში, მაგალითად, ელზასლოთარენში, გალიციაში, კურლიანდიაში და სხვა. ვინ და რა პირობებში უნდა მოახდინოს პლებისციტი;

3) რამდენად შეიძლება მომავალ საზავო ხელშეკრულების საგნად დასახულ იქნეს იმ ერთა თვითგამორკვევის უფლება, რომელთა მიწა-წყალზე ომი არ სწარმოებს, მაგალითად, ირლანდიისა, ბოჰემიისა და სხვა.

აღმასრულებელ კომიტეტთა არსებული საერთაშორისო დამოკიდებულებათა განყოფილება დიდათ მადლობელი იქნება, თუ თქვენ სხვა კითხვებსაც შეეხებით (მაგალ. სავალდებულო სამედიატორო სასამართლო, იარაღის აყრა, მშვიდობიანობის უზრუნველყოფა) ან სხვა მასალებს მოგვაწოდებთ.

## მე-8 ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიისა.

(გაგრძელება, იხ. „ჩვ. ქვეყ." № 34)

მილიუკოვი ეხება მიწის კითხვას. ცენტრალი კომიტეტი წარმოგიდგენსთ, ამბობს იგი, სააგრარო პროგრამის გადასინჯულ პროექტს. ამ პროექტში არსებითი ცვილება შეტანილი არ არის. იგი წარმოადგენს ძველი პროგრამის განვითარებას იმ სოციალურ ცვლილებათა მიხედვით, რომელიც ქვეყანამ განიცადა. პარტია ფრთხილად ეპყრობა ამ კითხვას და სცდილობს სამიწა-წყლოს რეფორმა სავსებით და უმტკივნეულოდ გაატაროს. შემდეგ მილიუკოვი საოლქო რეფორმის კითხვას განმარტავს და ამბობს: საოლქო რეფორმა დაკავშირებულია რუსეთის სხვა და სხვა ერთა ეროვნულ მისწრაფებასთან. სახ. თავისუფ. პარტიას ამ მხრივაც შეაქვს თავის პროგრამაში სერიოზული ცვლილებანი, რომელნიც იმდენად პოზიციის სრულ მიტოვებას არ მოასწავებენ, რამდენადაც

პირვანდელ პროგრამის დებულებათა გაღრმავებას და განვითარებას. ჩვენი პარტია ისეთის გზის გამოძებნას შეეცდება, რომელიც შეაძლებინებს რა რუსეთის სხვადასხვა კუთხეს შექმნის ადგილობრივ კანონმდებლობაზე დამყარებული ავტონომია, იმავ დროს არ დაარღვევს რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას. რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაცვა — ეს ის საზღვარია, რომელსაც პარტიის გადაწყვეტილება არ გადასცდება. სახელმწიფოს დაშლა სუვერენულ დამოუკიდებელ ერთეულებათ ჩვენ სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია კითხვის ასეთი დაყენება შეიძლება სავსებით არ ეთანხმებოდეს რუსეთის ზოგიერთ ერის მისწრაფებას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ რუსეთის ერი სცდილობს შექმნას ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება, რომლის უფლება, მათის აზრით, უფრო ფართე უნდა იყოს, ვიდრე ეს ჩვენი პარტიის ცენტრალ კომიტეტს წარმოუდგენია."

თუ ეს მისწრაფება სახელმწიფოს მთლიანობისათვის საზიანო სახეს მიიღებს, ის ვგონებ, არ უნდა შეესაბამებოდეს დღევანდელ მომენტის კარგად გაგებულ სახელმწიფოებრივ მიზნებს. მილუკოვის აზრით სახალხო თავისუფლების პარტიის გადაწყვეტილება და ერების უფრო ფართე მოთხოვნილებანი ურთიერთ შორის მოურიგებელი და ერთმანეთის სავსებით უარმყოფელი არ არის. პარტიის დადგენილება არ სპობს შემდეგისათვის კომბინაციების შესაძლებლობას იმ მიზნების მისაღწევად, რომელნიც ამ 'ერებს დაუსახავთ. სახალხო თავისუფლების პარტიის აზრით, სწორე არ იქნება კითხვის გადაჭრა ეროვნულ-ტერიტორიულ ორგანიზაციების შექმნის სახით, ის ემყარება არსებულ ისტორიულ ტერიტორიულ ნაწილობას და სწორედ ამ ნაწილობას ანიჭებს იმ უფლებებს ადგილობრივ კანონების გამოცემისას, რომელნიც დეცენტრალიზაციის მიზნებს აკმაყოფილებს. ამავე დროს პარტია ხელს არ შეუშლის არსებულ ტერიტორიულ ნაწილებს ეძებს გაერთიანებას და იქ, სადაც მოსაზღვრე ტერიტორიული ერთეულები ერთისადაიმავე ხალხითაა დასახლებული და ამისთვის საზღვრების სათანადო შესწორებაც კი მოითხოვს. ამ რიგად ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულების შექმნის შესაძლებლობას შემდეგისათვის გზა დახშული არა აქვს. მაგრამ ამ ჟამად ამ მიზნების წამოყენება 1848 წლის რევოლუციის შეცდომათა განმეორებას მოასწავებდა, როცა ტერიტორიულ დეცენტრალიზაციის მისწრაფებას შეეჯახა ერთა გადაჭარბებული მოთხოვნილება, რამაც რევოლუცია დაასამარა.

(შემდეგი იქნება)

## საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა

**პარტიის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები.**

(გაგძელება, იხ. „ჩვ. ქვ." № 34.)

**უმცირესობის უფლებანი.**

საქართველოს სოციალისტ-ფედერალითა სარევოლიუციო პარტიის კონფერენციამ, განიხილა-რა საკითხი საქართველოს ტერიტორიის სხვა და სხვა ნაწილის შესახებ, დაადგინა: პარტია მხარს დაუჭერს საერთოდ საქართველოს შინაურ ცხოვრების მოწყობას ფართო დეცენტრალიზაციის პრინციპებზე და კერძოთ აფხაზეთსა და საქართველოს ოსეთში ფართო საოლქო თვითმართველობას".

**სამაჰმადიანო საქართველო**

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კონფერენციამ განიხილა-რა საკითხი სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ დაადგინა: სამაჰმადიანო საქართველო შეადგენს საქართველოს განუყოფელს ნაწილს, მაგრამ თუ მომავალს საქართველოში მან მოითხოვა თვითმმართველობა, პარტია ამას მხარს დაუჭერს".

4. „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კონფერენციამ, განიხილა-რა საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა სატერიტორიო ერთეულების ურთიერთობის შესახებ, დაადგინა: ძირითად კანონების ძალით საქართველოს უფლება უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ მეურნეობისა, სამეზობლო ურთიერთობის და საპოლიციო საქმეების შესახებ დროებითი კავშირები შეჰკრას და ხელშეკრულებანი დასდოს ამიერ-კავკასიის სხვა ტერიტორიალურ ერთეულებთან. კავშირის და ხელშეკრულების აქტებში აუცილებლად აღნიშნული უნდა იყოს მიზნები და საგნები შეკავშირების ან ხელშეკრულებისა, გამგე ორგანოების და გამგებლობის ასასრულებლად საჭირო საშუალებანი".

**ომი და ზავი**

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კონფერენცია ითვალისწინებს-რა თანამედროვე იმპერიალისტურ ომის საკითხს დემოკრატიისა და ერების განთავისუფლებისთვის საჭიროდ აღიარებს:

1) რევოლუციონურმა მთავრობამ ორგანიზაციული ზომები მიიღოს ომის ლიკვიდაციისა და ზავის დამყარებისათვის. ზავი უნდა დამყარდეს უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ.

2) მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის უნდა დარაზმულ იქმნეს ყველა ერის სოციალისტურ-დემოკრატიული ძალები რომ შეუძლებელი იყოს სეპარატიული ზავი, რომელსაც შეუძლიან ომის კიდევ უფრო გამწვავება და სხვა ადგილებში გადატანა.

3) ზავი უნდა იყოს მკვიდრი, ესე იგი მსოფლიოს ერთა შორის დამყარდეს დემოკრატიულ-ფედერატიული კავშირი, რათა ყოველგვარი კერძო ეროვნულ-საზოგადოებრივი დავა შეთანხმებით გადასწყდეს.

4) ზავი უნდა ჩამოაგდოს ყოველ ერის წარმომადგენლობ ით შემდგარმა კრებამ, რომელიც მუშაობის ძირითად საფუძვლად იიჩნევს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და დემოკრატიულ-ფედერატიულ განწყობილებას. ერთა საზავო კონგრესს უნდა დაესწრნენ ქართველ ერის წარმომადგენელნიც.

5) სამხედრო მოქმედებით აოხრებულ პატარა ერებს და სახელმწიფოებს ყველა დიდმა სახელმწიფომ ზარალი აუნაზღაუროს ქონებრივის დახმარებით".

რადგანაც მოსალოდნელია ზავის უეცრივ ჩამოგდება და კავკასიის ფრონტის საკვები და უკან მავალი გზები იმდენად არა სასურველ მდგომარეობაშია, რომ ჯარის დაშლას დიდი უწესობა და შეიძლება კატასტროფაც მოჰყვეს, ამიტომ საჭიროა დემობილიზაციის გეგმის ეხლავე შემუშავება, რისთვისაც უნდა ეთხოვოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს დაარსებულ იქმნას სპეციალური კომისია, ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელების მონაწილეობით.

(დასასრული იქნება)

## ხარაგაულის რაიონი.

ხარაგაულის რაიონში უმეტეს ნაწილად სახაზინო გლეხები სცხოვრობენ. 1905—06 წლის მოძრაობა ამ რაიონში ჩინებულად ჩატარდა. ძმობა ერთობა და თანასწორობა ერთბაშად დამყარდა. ხალხის გამოღვიძება, როგორც ყველგან, ისე აქაც დასელებმა მოაწყვეს. მცირე ხნობის თავისუფლებამ ისე შეაყვარა ხალხს ძმობა-ერთობა და თანასწორობა, რომ მის ძირიან ფესვიანად ამოსაგდებად რეაქციის ბელადს—ალიხანოვს. მთელი დაბის—ხარაგაულის გადაბუგვამ ამაოდ ჩაუარა. ხარაგაულს გარდა, ბევრგან სოფლებშიც გადაბუგა ამ იუდა-ისკარიოტელმა სახლები, მაგრამ ხალხის რწმენა მაინც ვერ შეარყია. ამ უკანასკნელი ათი წლის რეაქციამ დიდი განსაცდელი მიაყენა აქაურებს, ყველას ერთბაშედ, გაურჩევლად წოდებისა, მაგრამ ერთგვარი სარგებლობაც მოუტანა ხალხს. ეს სარგებლობა ხალხის თვით გამორკვევაში გამოიხატა. უწინ თუ ბრმად ენდობოდა ხალხი ამა თუ იმ პარტიას, დღეს მათ კრიტიკულის თვალით უყურებს და ყოველისფერში ანგარიშს სთხოვს. ამის მაგალითი დღევანდელი დიდებული რევოლუციის პირველმა დღეებმა დაგვანახვა. მთელმა ხალხმა ნდობა საქართველოს ავტონომიურ მართველობას გამოუცხადა და ადგილობრივი მართვა-გამგეობა ისეთ ღირსეულ პირს მიანდო, როგორიც ტრიფონ თაბუკაშვილია. ადგილობრივმა დასელებმა ხალხის ასეთი განაჩენი ვერ მოინელეს და თაბუკაშვილის გაბიაბურებას შეუდგნენ. საუბედუროდ ჩვენდა, თაბუკაშვილმა თავის მართველობის პირველ ჟამსვე ერთი დიდი შეცდომა დაუშვა. ეს შეცდომა მას ნებსით მოუვიდა თუ უნებლიედ, ეს ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ შეცდომა ფაქტად დარჩა. ეს შეცდომა ის გახლავთ, რომ აქაური ტყის უფროსი, ძველი რეჟიმის თაყვანის მცემელი, ხალხის უზურპატორი ადგილიდან არ გადააყენა და ისევ ხალხის საჯიჯგნად და შემაწუხებლად დასტოვა. ამით ისარგებლეს დასელებმა და 19 ამა მაისს თაბუკაშვილი, შეგნებული მომხრე საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიისა ხალხის მართველობას ჩამოაშორეს. სამწუხაროა ეს გარემოება, რასაკვირველია, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ზოგიერთს ჰგონია.

ნუ დაავიწყდება აქაურ ეხლანდელი თაობას, რომ ის სხვის ნახნავ-ნათესს დაეპატრონა და ამ ნახნავ-ნათესს ნამდვილი პატრონი უსათუოდ გაუჩნდება და მაშინ გავიგებთ ხარაგაულის რაიონის მცხოვრებნი, ავტონომისტებს მისცემენ მხარს, თუ ცენტრალისტებს. ვინც ბოლოს იცინის, კარგათ ის იცინის.

**მ. ფარცხნალელი.**

## გამოქცეულები.

**ბრძოლის ველიდან.**

„გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო", ნათქვამია და ამ თქმულებას ოსმალეთის მკვიდრნი სავსებით ასრულებენ ძვირად შეხვთებით ისეთ დღეს, რომ ჩვენს საპოზიციო რაიონში მტრის ბანაკიდან გამოქცეული არ მოვიდეს! გამორბის ასკერი (თურქი ჯარის-კაცი), გამორბის ველური ქურთი და აწიოკებული, მიწასთან გასწორებული ტანჯული სომხის ხალხი. თუ გაიგეს ოსმალებმა, საზიზღარ სამშობლოს მოღალატეთ საშინელ სროლით აცილებენ; ბევრი. სამშვიდობოს გამოსვლამდის, მსხვერპლი ხდება თავისიანებისა. გამოქცეულები, თავიანთ გამოქცევის მიზეზად, აუტანელ შიმშილობას ასახელებენ! „არ გაგვაჩნია არაფერი; უსურსათობისა გამო კატა-და ძაღლი არ გაგვიშვია ზამთარში შეუჭმელიო. შიმშილობით ნახევარზედ მეტი მეომარი დაიხოცა და დაავათმყოფდაო. დღეს, როგორც იქმნა, გამოზაფხულდა და უმეტესათ მწვანილეულობით, ღოლოს ფოთლით, იკვებებიანო". საზარელ სურათს წარმოადგენს, თითქმის შიშველ-ტიტველი, გამოქცეული სომხის ქალები ძუძუ-მწოვარ ბავშვებით ისინი გვიამბობენ: „ჩვენს მამაკაცებს, პირველ ხანებში, ქურთები გზებში და თხრილებში ამუშავებდენ, ხოლო შიმშილობის დროს აღარ ინდომეს და ერთიანად ამოჟლიტესო".

დღეს თუ სადმეა სომეხი მამაკაცი დარჩენილი, ქურთს ემსახურება თვისი ცოლშვილიანად. საზიზღარი ქურთი, რუსის ბანაკშიაც კი გზავნის საზვერავათ სომეხს: იცის მას რუსები მასპინძლურათ შეხვდებიან, ხოლო მის ცოლშვილს ბეთ იტოვებს; თუ შეასრულებს ამოცანას: ე. ი. დაათვალიერებს ჩვენი ჯარების ბინადრობას, სულიერ განწყობილებას და მოახერხებს უკანვე, თვის ჯალათს, სწორი ამბავი მოუტანოს. ცოლ-შვილი თავისუფალი ხდება, თუ ვერა და ყველანი წუთი სოფელს უნდა გამოესალმონ! ტანჩაცმულობით და ნახევრად, მაჰმადის რჯულისამებრ, თავ მოპარსულ სომეხ მამაკაცს, ძნელად გაარჩევ—ქურთისაგან. მათთან თარჯიმანობას კავკასიელი სომეხი ჯარის-კაცები გვიწევენ, თუმცა ხშირად მათი „ჟარგონული" სომხური ლაპარაკი, როგორც ქართველისთვის ლაზელისა, ნახევრად გაუგებარი რჩება. ყველაზედ უფრო გასაოცარია, როცა ხედავ თურქ ჯარის—კაცს ტანისამოს ჩამოგლეჯილს, დაცრეცილ ქალამნებში და უთუოთ უჭმელობისაგან, გამხმარ—გაყვითლებულს. ფიქრობ ნუ თუ ასეთებისაგან შესდგება რეგულიარული ჯარი ოსმალეთისა და ასეთ მეომართა, პატრონს კიდევ ომი სურს აწარმოვოს!

ამას წინად, ერთმა თურქის ჯარის-კაცმა მიამბო: „ჩვენს ჯარის კაცებში დიდი უკმაყოფილება არის, გაჭირვებულ მდგომარეობით გამოწვეული მე თვითონ, რამდენჯერ დავაპირე გალიპოლისაკენ გავპარულიყავ, მაგრამ ვერ მოვახერხე და შემდეგ აქეთ წამოვედიო." გამოქცეულები შიშრეულად უახლოვდებიან ჩვენს პოზიციებს; ჰგონიათ სროლას აუტეხავთ, მაგრამ მალე აღწევენ ჩვენამდის და ჩვენი ჯარის კაცების ჰმანიური მოპყრობით ალტაცებაში მოდიან. ხედავ, ჯარის კაცები გამოქცეულს, ზოგი პურს აწვდის, ზოგი შაქარს, ზოგი პერანგს და სხვა.

გამოქცეულ თურქ ჯარის-კაცს შეუმჩნეველი არ დარჩა ჩვენს ჯარის კაცთა და ოფიცერთა ამხანაგური განწყობილება. „ამას რას ვხედავ, აღიარა მან, ასე რომ ჩვენს უფროსთან მიხვიდე პანღურის ცემით გაგაგდებს, დაიკარგე შე მამაძაღლოო" მეც აუხსენი, ჩვენ ფადიშა აღარა გვყავს, ვისაც ხედავ ყველა თანასწორი არის მეთქი. გაკვირვებულმა აღაპყრო ხელები ალლახისაკენ: „ნეტავ ჩვენც მოვესწრებოდეთ ეგეთ სანეტარო დროს, რომ ფადიშა აღარ გვეყოლებოდესო, სულ მისი ბრალია ასეთი ჩვენი უბედურებაო." არ ვიცი რამდენად გულწრფელი იყო სამართლიანი სიტყვები ფანატიკოსი თურქისა!?

12 მაისი **იოლა.**

## მოწერილი ამბები

**ს. სვირი.** (ქუთაისის მაზრა). 7 მაისს ს. სვირში უნდა მომხდარიყო ახალი არჩევნები. სასურველი რიცხვი მცხოვრებლებისა არ დასწრებია.

სანამ კრება გაიხსნებოდა, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ს. წმ. გიორგის ეკლესიაში განსვენებულ გიგა ჯუღელის სულის მოსახსენებლად. სოც. რ-ბის პარტიის დელეგატმა ბ. გ-მა მოკლედ აუწყა ხალხს უდროოდ დაკარგულის გ. ჯუღელის სულის კვეთებანი და მისწრაფებანი.

შემდეგ ხალხი ერთათ გაემართა საზოგადოების კანცელარიისაკენ, სადაც კრება უნდა გახსნილიყო. კრების გახსნამდე პარტიების წარმომადგენლებმა, თუ თანამგრძნობებმა ცალკე ითათბირეს, რაც სრულიად არ იყო საჭირო და რამაც საზოგადოება იმთავითვე ააღელვა.

კრება გახსნა ქუთ. გუბერნიის ალმას. კომ-ტის წევრმა ბ. შენგელაიამ; ამოირჩიეს თავჯდომარე კრების.

თავჯდომარემ განაცხადა: „მიღებულ იქმნას კრება კანონიერად თუ არა, რადგან უმრავლესობა მცხოვრებლებისა კრებას არ დასწრებია გაუგებრობისა გამოო." თ-რე თვით უარყოფდა კრების კანონიერებას, მაგრამ ერთხმად კრება კანონიერად აღიარეს.

პირველად გამოთქვა აზრი, რომ არჩევნებამდის, მოსულს დელეგატებს ს.დ., ს. რ. და ს. ფ. თავთავიანთი პროგრამა გაეცნობებია საზოგადოებისათვის; მაგრამ ვიღაც ვითომდა „შეგნებული ინტელიგენტების" ამოძახილით ხალხმა უარი განაცხადა პროგრამების გაცნობაზე. სრულიად არ მიიღეს სალაპარაკოთ დელეგატი ს. ფ-სა.

უნდა მოვახსენოთ, სოფლის მასსა გრძნობს, რომ მან არ იცის პროგრამა არც ერთი პარტიისა, გაუგონიათ, რომ ს, დ-ია მუშათა პარტიაა და ყველა ამ პარტიას ეკედლება. მაგრამ როდესაც უხსნებ „სოციალიზმს", მაშინ კი ვერ ეთანხმებიან მის პროგრამას.

ბევრი აურ-ზაურით ყურებ გამოჭედილმა ხალხმა ერთხმად მოითხოვა, შესდგომოდნენ არჩევნებს, გამოაცხადეს ადრიან დასახელებული კანდიდატების სია: მაგრამ ხალხი ძლიერ განცვიფრდა, როდესაც სიაში აღარ აღმოჩნდა ბიუროსაგან დასახელებული კანდიდატები; პარტიესის წარმომადგენლებს და პრეზიდიუმს თვითონ შეედგინა ახალი სია. ამ სიის გამოცვლამ ხალხში დიდი უსიამოვნება გამოიწვია. კრებამ მოითხოვა ბიუროსაგან შედგენილი სია და მისთვის კენჭის ყრა ბევრს ამ საკითხის ასე თვითნებურად გადაჭრამ და გაბიაბრუებამ უნდოლობა დაუბადა გულში ამ არჩევნების შესახებ და კრება თითქმის ორმა წილმა დასტოვა. შემდეგ, როგორც იქმნა, ისევ ბიუროსაგან შედგენილს სიას უყარეს კენჭი თუმცა ყველა გრძნობდა. რომ კრება უკანონოდ მიდიოდა, მაგრამ მაინც ყუთები დაიდგა 22 დასახელებულმა კანდიდატმა. ყუთების უვარგისობის გამო არჩევნები ფარული არ იყო, ასარჩევნი ხედავდნენ, ამრჩევლები თეთრს კენჭს აძლევდნენ თუ შავს.

არჩეულ იქმნა 11 ალმ. კ-ტის წევრი და სამი კანდიდატი. კენჭის დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ 337 პირს, როდესაც სვირში მცხოვრებთა რიცხვი 4000-5000 სრულს წლოვანს აღემატება სხვა ბოროტ-ნამოქმედარიც აღმოჩნდა ყუთებში.

აქედგან ნათლად სჩანს, თუ რამდენად კანონიერი ყოფილა ეს არჩევნები.

სია არჩეულ პირთა წარედგინა გუბერნიის ალმ. კომ—ს დასამტკიცებლად. ეჭვს გარეშეა, რომ ის დამტკიცებული არ იქნება.

პირველათ ყოვლისა, საჭიროა არჩევნები ხელმეორედ მოხდეს; აგრეთვე საჭიროა ისიც, რომ სვირის საზ. მმართველებმა ადრე მიიღონ ზომები, რათა ფართო მასსას მიაღებინოს მონაწილეობა არჩევნებში. 7 მაისს კრება არ იყო მთლიანი საზოგადოების გამოხმაურება. ის რაღაც გულგრილათ და კერძო ხასიათის მზგავსად იყო მოწვეული და როგორც ასეთს, ყველა ... არა სანატრელი შედეგებით ... კრების დასრულება. ასეც მოხდა.

სასურველია შემდეგისათვის ასეთი რამ აღარ განმეორდეს და ყველამ ერთსულოვნად მივიღოთ მონაწილეობა კრების მთლიანად მოწვევაში, კანონიერ არჩევნებში და სასურველად დაბოლოვებაში ჩვენდა საკეთილდღეოთ.

**მ. სვირელი.**

## ლიმ ბარათი ქუთ. ქალ. თვითმართველობის მოსამსახურეთა ბიუროს თავმჯდომარეს ნესტორ ფურცელაძეს.

ამხანაგო ნესტორ!

უმორჩილესათ გთხოვთ გაზეთის ფურცელზე მოგვცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: ა) რა მიზეზით არ მოიწვიეთ ბიუროს წევრნი: ახვლედიანი, გოცირიძე, ოდიშარია, ჯიქიძე და ყუბანეიშვილი როდესაც გაარჩიეთ სალორიის აგარაკის გამგის თანაშემწის ადგილზე მისაღები კანდიდატურები?

ბ) რატომ არ შეასრულეთ ერთი ბიუროს წევრის მოთხოვნილება, რომ საკითხისთვის ფარულათ კენჭი ეყარათ?

ვ) რატომ არ გამოაცხადეთ ერთ-ერთ გაზეთში მაინც, რომ ეს ადგილი დაცლილი იყო? თუ კი ქალაქის თვით მართველობის მოსამსახურეთა შორის არ მოინახებოდა შესაფერი პირი ხსენებულ თანამდებობაზე, შესაძლებელია ამ საშუალებით ფრიად მომზადებული კაცი გამოცხადებულიყო.

**აკ. ნიშნიანიძე**

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## ექიმები:

**ბ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

## რკინისგზის მიმოსვლ.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| შაურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში